საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№95-1/17 „18“ დეკემბერი2017 წ.

შ.პ.ს. „გასგო ინთერნეიშენალ ჰოთელს ენდ თაუერს “-ის დირექტორს ბატონ ზურაბ სამბელაშვილს.

შ.პ.ს. „გასგო ინთერნეიშენალ ჰოთელს ენდ თაუერს “-ის მიერ, ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ. პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (სკ. 01.17.07.024.031) დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სივრცული სისტემის სახით.

საპროექტო შენობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ზემოაღნიშნულ ნაკვეთზე ახლად აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი რომელიც საპროექტო შენობიდან მოცილებულია მიახლოებით 23 მ. სამხრეთიდან ესაზღვრება რამოდენიმე მცირე ზომის ერთსართულიანი ნაგებობები რომლებიც მოცილებულია საპროექტო შენობიდან მიახლოებით 14 მ. დასავლეთიდან ესაზღვრება შენობა ნაგებობები რომლებიც ასევე მოშორებულები არიან საპროექტო შენობიდან მიახლოებით 16 მ. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი სკ. 01.17.07.024.050. რომელზეც მდებარე შენობა ასევე საპროექტო შენობას მოშორებულია.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად, ტერიტორია წარმოდგენილია თიხნარებით, რომელთა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგია:

სიმკვრივე	$\rho=1.93$ გრ/სმ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა.	$c=0.34$ კგ/სმ^2.
შიგა ხახუნის კუთხე.	$\varphi=26^0$
პუასონის კოეფიციენტი	$\mu=0.37$
დეფორმაციის მოდული	$E=216$ კგ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	$R_0=2.5$ კგ/სმ^2.

სამშენებლო ნორმებისა და წესების შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08. დაკმაყოფილებული უნდა იქნას მუხლი 10.35-ს მოთხოვნები, რაც მდგომარეობს შემდეგში: თუ შენობათა საძირკვლები ერთმანეთის სიახლოვეს ეწყობა განსხვავებული ჩაღრმავებით, მაშინ აუცილებელია მეზობელი საძირკვლების ძირის უახლოესი წერტილების შემაერთებელი წრფის დახრა არ აღემატებოდეს გრუნტის შიდა ხახუნის კუთხის მნიშვნელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს გაძლიერებითი ხასიათის ღონისძიებები (მაგ. შპუნტური კედელი; ხიმინჯები და სხვა).

მოცემულ შემთხვევაში ზემოაღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია. დაგეგმილი საპროექტო შენობის მშენებლობა უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არ მოახდენს ზემოთაღნიშნულ მოსაზღვრე შენობებზე.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/